

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული

დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

2017 წლის 16 თებერვლის სხდომის

ოქმი № 1

ქ. მცხეთა. 14. 00 სთ.

სხდომის თავმჯდომარე - გოჩა ლაბაური, კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები.

დღის წესრიგი:

საკითხი: მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 16 თებერვლის N08/1/2324 მომართვით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი „2017 წელს მცხეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 ნოემბრის № 214 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

/ მომხს. გოჩა ლაბაური /

მოისმინეს წარმოდგენილი საკითხი :

მომხსენებელმა კომისიას გააცნო ზემოაღნიშნული განკარგულების პროექტი, რომელშიც წარმოდგენილია საპროექტო წინადადებები „ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის № 23 დადგენილებით დამტკიცებული დანართის შესაბამისად. სულ დანართით წარმოდგენილია 23 პროექტი, 4809.200 ათას

ლარის ღირებულებით, რომელთა განხორციელება გათვალისწინებულია ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული პროექტების ფონდიდან თანადაფინანსების გზით.

კომისიამ გადაწყვიტა: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი „2017 წელს მცხეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 ნოემბრის № 214 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად და შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

დღის წესრიგი ამოიწურა.

თავმჯდომარე: გოჩა ლაბაური



წევრები: დავით ჯალაბაძე



დავით პაპიაშვილი



მალხაზ ნოზაძე



გიორგი კაჭარავა



თეიმურაზ მირესაშვილი



თამაზ ფოლოდაშვილი



თამაზ მოძღვრიშვილი



გალინა ახსაბაძე

